f

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერული თანასწორობის სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა (2016 წ.)							
ძირითადი მიმართულება	განსახორციელებელი საქმიანობა	მიზანი	მოსალოდნელი შედეგი	არსებული მდგომარეობა	პასუხისმგებელი ერთეული	ვადები	განხორციელების სტატუსი
გენდერული თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება საქართველოს თავდაცვის სისტემაში (საქართველოს შეიარაღებული, ძალები, გენერალური შტაბი, სამოქალაქო ოფისი, საჯარო სამართლის იურიდიული პირები)	პერმანენტული საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების მოწყობა გენდერული თანასწორობის საკითხებზე	საქართველოს თავდაცვის სისტემაში გენდერული თანასწორობის შესახებ საინფორმაციო კამპანიის მიზანია ინფორმირებულობის გაზრდა; გენდერის კუთხით მნიშვნელოვანი ასპექტების ხაზგასმა; გენდერული თანასწორობისა და გაეროს N1325 და თანმდევი რეზოლუციების განმარტება. შეხვედრების დროს პრობლემატურ საკითხებზე გაიმართება დისკუსიები.	გენერალურ შტაბში, სამოქალაქო ოფისში, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და სსიპებში გამართული შეხვედრებისა და პერიოდული საინფორმაციო კამპანიის შემდეგ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები უფრო ინფორმირებულები იქნებიან გენდერული თანასწორობის საკითხებზე; დისკუსიების დროს გამოიკვეთება არსებული პრობლემები და მათი მოგვარების გზები; შეიარაღებულ ძალებში და თავდაცვის სამინისტროს სისტემაში გენდერული თანასწორობისა და გაეროს №1325 და თანმდევი რეზოლუციების შესახებ გაიზრდება ცნობიერება, რაც ყოველდღიურ საქმიანობაში და დამოკიდებულებებში აისახება.	თავდაცვის სამინისტროში პერიოდულად იმართება შეხვედრები გენდერული თანასწორობის თემაზე. ტარდება რეგულარული სემინარები გენდერული თანასწორობის შესახებ, მიმიდინარეობს დისკუსიები არსებული პრობლემებისა და პერსპექტივების შესახებ.	ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტი; გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი	2016 წ. II-III კვ.	
	გენდერული თანასწორობის შესახებ პერიოდული საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა და წარმართვა		საინფორმაციო კამპანია ხელს შეუწყობს გენდერის პოლიტიკის ორგანიზაციის კულტურაში ინტეგრირებას.	საჭიროა კარგად დაგეგმილი საინფორმაციო კამპანია და რეგულარული ხშირი შეხვედრების	სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი		
	საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება და გავრცელება				სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი; მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველო		
	სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გენდერის შესახებ ფანჯარა/გვერდის შექმნა: ინფორმაციის განთავსება (სრული მასალების განთავსება); ანონიმური კონტაქტის უზრუნველყოფა				სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველო		

	სამინისტროს საკომუნიკაციო სტრატეგიაში (და სხვა კონცეპტუალურ და თემატურ მარეგულირებელ დოკუმენტებში გენდერული პოლიტიკის/თემატიკის ასახვა)	გენდერული ასპექტების კონცეპტუალურ და სტრატეგიულ დოკუმენტებში ასახვის მიზანია გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ინსტიტუციონალიზაცია.			გენდერის საკითხებზე მომუშავე არა სამთავრობო ორგანიზაციები		
	არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრა და გენდერული თანასწორობის თაობაზე თემატური შეხვედრების დაგეგმვა და განხორციელება	არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრების მიზანია თავდაცვის სამინისტროსა და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობის კოორდინაციის გაძლიერება; არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით გენდერული პოლიტიკის გაძლიერება. მათი შეფასება და მონიტორინგი დადებითი შედეგების მომტანია უწყებისთვის.					
საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გენდერის კუთხით არსებული მდგომარეობის რეგულარული ანალიზი, შეფასება, კვლევებისა და გამოკითხვების წარმოება და შესაბამისი წინადადებების	პერიოდული/რეგულარული სტატისტიკის წარმოება და სტატისტიკის ანალიზის შემუშავება	პერიოდული სტატისტიკის წარმოების მიზანია გენდერული თანასწორობის კუთხით სტატისტიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე რეალური სურათის დანახვა.	სტატისტიკის საფუძველზე მოხდება ტენდენციების და მიმართულებების გამოვლენა და პრობლემატური საკითხების წინ წამოწევა	თავდაცვის სამინისტროში მიმდინარეობს სტატისტიკის წარმოება; საჭიროა დახვეწა და შესაძლებლია ახალი ტიპის სტატისტიკის წარმოება	ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარატმენტი	2016 წ. რეგულარულად (ყოველთვიურად)	
	სტატისტიკის წარმოება: ზოგადი; დაწინაურების; კურსებზე მივლინების (პროფესიული განვითარების); სამშვიდობო მისიებში მივლინების; წვრთნებში და სწავლებებში მონაწილეობის; წოდების მინიჭების				გენერალური შტაბის J 1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი		

	ანალიზის საფუძველზე ტენდენციების იდენტიფიცირება და ტენდენციების ანალიზი	ტენდენციების გამოკვეთა და პრობლემების იდენტიფიცირება. ტენდენციების იდენტიფიცირების და ანალიზის მიზანია: გამოიკვეთოს გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული პრობლემები და მიმართულებები; სწორედ და ადეკვატურად შეფასდეს არსებული სიტუაცია და რეალური ანალიზის საფუძველზე მოხდეს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და სუსტი მხარეების გაძლიერება.	ტენდენციების იდენტიფიცირების და ანალიზის შედეგად მოხდება სათანადო რეკომენდაციების შემუშავება და პრობლემების დაძლევის გზების დასახვა; შესაბამისად ადეკვატური და შესაბამისი სამოქმედო გეგმები შემუშავდება და საჭირო ღონისძიებები განხორციელდება, რომელიც შედეგად გააძლიერებს გენდერული თანასწორობის პოლიტიკას.		ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარატმენტი; გენერალური შტაბის J 1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი		
	ზოგადი მდგომარეობის შეფასება/მონიტორინგი (არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით): შესაბამისი კითხვარების მომზადება და შევსება; მიღებული მონაცემების ანალიზი; რეკომენდაციების მომზადება	შემუშავებული კითხვარების საშუალებით ადვილი იქნება არსებული პრობლემების იდენტიფიცირება. არსებული სიტუაციის გაანალიზება და შემდეგ რეკომენდაციების შემუშავება.	შედეგად ცნობილი გახდება ამ კუთხით არსებული სისუსტეები და სიძლიერეები და შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები.		ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარატმენტი; გენერალური შტაბის J 1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი		
	ხელმძღვანელთა დამოკიდებულების გამოკვლევა და შეფასება	ხელმძღვანელთა დამოკიდებულების კვლევის მიზანია ხელმძღვანელების მიდგომის შესწავლა გენდერული თანასწრობის საკითხების მიმართ; მათი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში გენდერის ასპექტის როლისა და შედეგების შესწავლა.	აღნიშნული კვლევის შედეგად ახალი ასპექტების გამოვლენა (როგორ ხდება ხელმძღვანელების მხრიდან გენდერული თანასწორობის გაძლიერება ან პირიქით; რა როლი აქვს გენდერს მართვის პროცესში); შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები.		ფსიქოლოგიური შერჩევისა და მონიტორინგის დეპარატმენტი	2016 წ. II-III-IV კვ.	
					ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარატმენტი		
					გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი		
					ფსიქოლოგიური შერჩევისა და მონიტორინგის დეპარტამენტი	2016 წ. II-III-IV კვ.	

	საწინააღმდეგო სქესის თანამშრომლის/თანამებრძოლის დამოკიდებულებების კვლევა და შეფასება	აღნიშნული კვლევის მიზანია საწინააღმდეგო სქესის თანამშრომლების განწყობების დამოკიდებულებების გაანალიზება; პრობლემების დანახვა; სხვადასხვა კუთხით გენდერული თანასწორობის საკითხების გაანალიზება	ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება		ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარატმენტი		
					გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი		
	საერთაშორისო მისიაში და ზოგადად, ჯარში ყოფნის ხანმოკლე და გრძელვადიანი ზეგავლენა, ფიზიკურ, ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობის განცდაზე (მათ შორის გენდერულ ჭრილში)	აღნიშნული კვლევის მიზანია გამოიკვეთოს შეიარაღებულ ძალებში მომსახურე ადამიანების განწყობები (რა მოსწონთ; რა უქმნით პრობლემებს); მათი დამოკიდებულების შესწავლა; ჯარში ყოფნის როლის შესწავლა თუ როგორი ასახვა ჰპოვა მათ ცხოვრებაზე.	კვლევების შედეგად თანამშრომლების ჯარისადმი დამოკიდებულების ასპექტების გამოკვეთა (თანამშრომლების დამოკიდებულების შესაბამისად გამოიკვეთება მათი ხედვით ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები); მომზადდება შესაბამისი რეკომენდაციები.		ფსიქოლოგიური შერჩევისა და მონიტორინგის დეპარატმენტი	2016 წ. II-III-IV კვ.	
					ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარატმენტი; გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი		
	ინფრასტრუქტურის ანალიზი: ქალთა სპეციალური საჭიროებებისა და მოთხოვნილებების იდენტიფიცირება; ანალიზი; რეკომენდაციების შემუშავება	ინფრასტრუქტურის კუთხით არსებული პრობლემების აღმოფხვა, რომელიც ხელს უშლის ქალ სამხედრო მოსამსახურეებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში.	ინფრასტრუქტურის კუთხით არსებული პრობლემების აღმოფხვრა; შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.		ფსიქოლოგიური შერჩევისა და მონიტორინგის დეპარტამენტი		
					ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარატმენტი		
					ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა		
					J4/J8 ლოგისტიკისა და რესურსების დაგეგმვის დეპარტამენტი		

გენდერული მრჩევლის ინსტიტუციონალიზაცია	გენდერული მრჩევლების სამუშაოს აღწერების გავრცელება და კონსულტაცია	აღნიშნული ღონისძიებების მიზანია გენდერული მრჩევლის ინსტიტუტის პოპულარიზაცია.	შედეგად გენდერის მრჩევლის როლის დამკვიდრება და გაძლიერება თავდაცვის სამინისტროში. გენდერის მრჩევლის კონსულტაციების საფუძველზე პრაქტიკული შედეგების მიღწევა.	თავადაცვის სამინისტროს სისტემაში 43 გენდერული მრჩეველია.	ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარატმენტი	2016 წ	
	გენდერული მრჩევლების სტატუსის დამტკიცება	თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მიერ გენდერული მრჩევლის ინსტიტუტის უკეთ გაცნობა.	გენდერის კუთხით არსებული პრობლემების დაძლევა.		გენერალური შტაბის J 1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი; ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარატმენტი		
	გენდერული მრჩევლების ტრენინგები		გენდერული მრჩევლების მუდმივად კვალიფიკაციის ამაღლება	პერიოდულად მიმდინარეობს გენდერული მრჩეველების ტრენინგი.	ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარატმენტი		
	გენდერული მრჩევლების შეხვედრები მინისტრის მოადგილეებთან	შეხვედრების შედეგად გაიმართება ღია დისკუსიები არსებული პრობლემების, საჭირო დახმარებისა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის თაობაზე.	მინისტრის მოადგილეები ინფორმირებულნი იქნებიან არსებული სიტუაციის, გამოწვევებისა და პერსპექტივების შესახებ; მინისტრის მოადგილეები და გენდერული მრჩევლების კოორდინაცია გაძლიერდება და შედეგად შესაბამისი, საჭირო ღონისძიებები განხორციელდება. სამინისტროს ხელმძღვანელობა დაეხმარება გენდერის პოლიტიკის გაძლიერებას.		გენერალური შტაბის J 1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი		
	მინისტრის მოადგილის და გენდერული თანასწორობის მონიტორინგის ჯგუფის შეხვედრები სტრუქტურულ ერთეულებში და გენდერული მრჩევლის მხარდაჭერა	ერთობლივი შეხვედრების მიზანია გენდერული თანასწორობისა და გენდერული მრჩევლის ინსტიტუტის პოპულარიზაცია.	ერთობლივი შეხვედრების შედეგად გაიზრდება გენდერის მრჩევლის როლი; გაიმართება შედეგზე ორიენტირებული ღია დისკუსიები; მინისტრის მოადგილეები და მრჩევლები ერთად იმუშავებენ გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გაძლიერების საკითხებზე.		გენერალური შტაბის J 1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი		

საგანმანთლებლო მოდულების შექმნა და განვითარება	სასწავლო მასალების მომზადება	აღნიშნული ღონისძიებების მიზანია თავდაცვის სამინისტროს საგანმანთლებლო დაწესებულებებში გენდერის სასწავლო კურსის დანერგვა და განვითარება (თითოეულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გენდერის კურსის დანერგვა და მსმენელებისთვის გენდერზე ლექციების წაკითხვა).	აღნიშნული ღონისძიებების შედეგად მოხდება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ინტეგრირება შეიარაღებულ ძალებში.	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში მიმდინარეობს მსმენელებისთვის გენდერის საკითხებზე ლექციების წაკითხვა.	ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარატმენტი	2016 წ. II-III-IV კვ.	
	საგანმანთლებლო დანაყოფებში შესაბამისი კურსების ორგანიზება		მუდმივი კურსების, ტრენინგების შედეგად, მსმენელებში გენდერული თანასწორობის საკითხების თაობაზე დადებითი კულტურული ცვლილებები მოხდება.		გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი		
	სატრენინგო მოდულების შექმნა		ტრენინგები და კურსები გააძლიერებს თანამშრომლების კულტურულ ცნობიერებაში გენდერული პოლიტიკის ფეხის მოკიდებას, რაც გამოიწვევს ორგანიზაციაში დადებით კულტურულ ცვლილებას.		სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია		
	ტრენერთა ტრენინგი	საჭიროა ტრენერთა რაოდენობის გაზრდა და მათი პერიოდული გადამზადება, რათა მოხდეს მათი მუდმივი კვალიფიკაციის ამაღლება.			სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია		
	განათლების სფეროს მიმართულებით, მოქმედ კანონმდებლობაში გენდერული ასპექტების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება (ქვოტები, სამხედრო სწავლება)	ანალიზის მიზანია გენდერული კუთხით განათლების სფეროს კანონმდებლობის გაუმჯობესება.	აღნიშნული ღონისძიების მიზანია კანონმდებლობის გაუმჯობესება, რათა ყოველდღიურ ცხოვრებაში და საქმიანობაში დადებითი შედეგების და გაუმჯობესებული სტანდარტების მიღწევა მოხდეს, რაც პრაქტიკულ დადებით შედეგებს გამოიწვევს.		ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარატმენტი; გენერალური შტაბის J 1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი		

საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ქალთა სამსახურის და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	გენდერული თანასწორობის პრინციპების დარღვევათა გასაჩივრების და სექსუალური შევიწროების ფაქტების გამოვლენასა და რეაგირების მექანიზმების შექმნა და ინსტიტუციონალიზაცია	აღნიშნული მექანიზმების შექმნის და დაფუძნების მიზანია სწორი და სამართლებრივი რეაგირება გენდერული თანასწორობის პრინციპების დარღვევებზე და სექსუალური შევიწროვების ფაქტებზე.	მექანიზმების დანერგვის შედეგად მოხდება ადექვატური რეაგირება გადაცდომებზე და დარღვევებზე. მექანიზმების დანერგვა გამოიწვევს გადაცდომებისა და დარღვევების შემცირებას და სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპების განმტკიცებას.		ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარატმენტი; გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი; გენერალური ინსპექცია; სამხედრო პოლიცია	2016 წ. II-III-IV კვ.	
	სამინისტროს მიერ, საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით, კანონმდებლობის გენდერული ანალიზი და გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტებისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად სამინისტროს კანონმდებლობის ცვლილებების ორგანიზება	კანონმდებლობის გენდერული ანალიზის მიზანია ამ სფეროში ძირეული დადებითი ცვლილებების შეტანა და გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული სიტუაციის გაუმჯობესება.	კანონმდებლობის ანალიზის შედეგად გამოიკვეთება სუსტი მხარეები. ანალიზის შედეგად უნდა მოხდეს საკანონმდებლო კონკრეტული ცვლილებები, რომელიც განავითარებს სუსტ მხარეებს და გააძლიერებს გენდერულ თანასწორობას.		პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივ საკითხთა დეპარტამენტი		
	სამშვიდობო ოპერაციებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა	ღონისძიების მიზანია სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის მიზნით ქალი სამხედრო მოსამსახურეების ჩართვა.			გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი		
	სამხედრო ფორმის დიზაინის შემუშავების და შეკვეთის დროს ქალთა საჭიროებების გათვალისწინება; ქალის (საჭიროებების გათვალისწინებით) სამხედრო ფორმის შეკვეთა და შესყიდვა	ქალი სამხედო მოსამსახურეების საჭიროებების გათვალისწინება და მათთვის საჭირო და აუცილებელი პირობების შექმნა.			ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა		

	სამხედრო ნაწილებში და სასწავლო დაწესებულებებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა				J4/J8 ლოგისტიკისა და რესურსების დაგეგმვის დეპარტამენტი		
	მისიიდან დაბრუნებული სამხედრო მოსამსახურეებისთვის სპეციალური სარეაბილიტაციო კურსის მომზადება (ოჯახში ძალადობისა და ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის პრევენციის ინტეგრირებული საკითხები)	აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს სამხედრო მოსამსახურეების უკეთესად ინტეგრირებას საზოგადოებაში და ყოველდღიურ ცხოვრებაში.	აღნიშნული სპეციალური სარეაბილიტაციო კურსების შედეგად ფსიქოლოგიურად მომზადებული სამხედრო პერსონალის ეფექტიანი ინტეგრირება მოხდება ოჯახსა და საზოგადოებაში.		პროფესიული განვითარების დეპარატმენტი; გენერალური შტაბის J 1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი; ფსიქოლოგიური შერჩევისა და მონიტორინგის დეპარატმენტი		
გენდერული ასპექტების ინტეგრირება გადასროლის წინა მომზადების პერიოდში მისიაში მისავლენი სამხედრო მოსამსახურეებისთვის	გადასროლისწინა პერიოდში გენდერის მოდულის სწავლება	აღნიშნული ღონისძიება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მისიაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეები კარგად უნდა იყვნენ ინფორმირებულები სამხედრო ოპერაციებში გენდერის როლის შესახებ.	გადასროლისწინა პერიოდში გენდერის მოდულის სწავლების განვითარებით სამხედრო მოსამსახურეების მიერ ჩადენილი გადაცდომები გენდერული კუთხით შემცირდება.		მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველო სტარტეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი		
			სამხედრო მოსამსახურეები გათვიცნობიერებული იქნებიან რისი გაკეთება არ შეიძლება სამხედრო ოპერაციებში ამ კუთხით (რა არის გადაცდომა; როგორ უნდა დაიცვან წესები და ა.შ).				
			სამხედრო მოსამსახურეები ბევრად უფრო მომზადებულნი გაემგზავრებიან მისიაში თავიანთი უფლება-მოვალეობების შესასრულებლად.				
ქალი სამხედრო მოსამსახურეების პოპულარიზაცია და ქალების მოზიდვა ჯარში	ქალი სამხედრო მოსამსახურეების წარმოჩენა და სპეციალური საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება ქალთა ჯარში მოზიდვის მიზნით	ღონისძიების მიზანია ქალი სამხედრო მოსამსახურის დაინტერესება შეიარაღებული ძალებით და მათი მოზიდვა. მოქალაქეებში ქალი სამხედრო მოსამსახურეების პოპულარიზაცია გამოიწვევს დადებით განწყობებს და მეტი ქალი გამოხატავს სურვილს იმსახუროს ჯარში.	ქალი სამხედრო მოსამსახურეების პოპულარიზაციის შედეგად საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ქალი სამხედრო მოსამსახურეების როლი გაიზრდება და მეტი ქალს გაუჩნდება ჯარში მუშაობის სურვილი.		მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველო; სტარტეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი	2016 წ.	

	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ქალი მსმენელების მოზიდვა	მეტი ქალი მსმენელის მოზიდვა სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში	სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის დასრულების შემდეგ მეტი ქალი სამხედრო ოფიცერი ეყოლება საქართველოს შეიარაღებულ ძალებს.		მასმედიასთან ურთიერთობის სამმართველო; სტარტეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი		
	სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში ქალთა სწავლის/მომზადების პირობების შექმნა და შესაბამისი კონტიგენტის მომზადება	ქალი კადეტების მოზიდვა სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში					
	პროფესიული გადამზადების პროგრამებში (წვრთნები, ტრეინინგები) ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობა				J 1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი; ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარატმენტი; J 7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი		
ბიუჯეტის დაგეგმვა გენდერული ასპექტების გათვალისწინებით	სტრუქტურული ერთეულების ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში, საჭიროებიდან გამომდინარე, გენდერული თანასწორობის ასპექტების დაცვის მექანიზმების შემუშავება	აუცილებელია პროფესიული განვითარების პროგრამებში, წვრთნებში, ტრენინგებში და სწავლებებში ქალთა მონაწილეობის გაზრდა.	საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ეყოლება უფრო გაწვრთნილი, განათლებული, მომზადებული ქალი სამხედრო მოსამსახურეები.		ფინანსების მართვის დეპარტამენტი	2016 წ. III-IV კვ.	
	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის გენდერული ანალიზი, საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების შემუშავება გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის მომზადებისთვის სეგრეგირებული მონაცემების მოგროვება; ხარჯვითი კატეგორიების განსაზღვრა (გენდერულ ჭრილში)	მეტად მნიშვნელოვანია ბიუჯეტის დაგეგმვის დროს გენდერული ასპექტების გათვალისწინება. გენდერის ასპექტებმა ასახვა უნდა ჰპოვოს განათლებაში, ბიუჯეტში, კანონმდებლობაში. სწორედ დაგეგმილი ბიუჯეტის დროს მოხდება ყველა საჭირო და აუცილებელი საკითხების გათვალისწინება და თანხების გამოყოფა.	აღნიშნული ღონისძიების შედეგად, გენდერული თანასწორობის კუთხით საჭირო და დაგეგმილი ღონისძიებები დაფინანსდება და განხორციელდება.		J4/J8 -ლოგისტიკისა და რესურსების დაგეგმვის დეპარტამენტი		